სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„6“ ---ივლისი--- 2013 წელი

ეგზ 2

ქ. ქუთაისის მერიის მიერ გარე განათებისა და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისათვის 2008-2010 წლებში ქ.ქუთაისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენების შესაბამისობის აუდიტის

ანგარიში № 12/00

2013 წელი

სარჩევი

შესავალი ---------- 3

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები ---------- 4

ძირითადი ტექსტი ---------- 6

1. გარე განათების (მათ შორის არსებული ობიექტების ექსპლუატაციისა და მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების) და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისათვის ქ. ქუთაისის ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებების გათვალისწინებისა და დამტკიცებულ მოცულობაში ცვლილებების შეტანის მდგომარეობის აუდიტი. ---------- 6

2. გარე განათების (მათ შორის არსებული ობიექტების ექსპლუატაციისა და მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების) და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისათვის მუნიციპალური შესყიდვების განხორციელების მდგომარეობის აუდიტი. ---------- 9

3. გარე განათების (მათ შორის არსებული ობიექტების ექსპლუატაციისა და მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების) და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისათვის ქ. ქუთაისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის მდგომარეობის აუდიტი. ---------- 18

4. გარე განათების (მათ შორის არსებული ობიექტების ექსპლუატაციისა და მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების) და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული მუნიციპალური შესყიდვების შედეგად მიღებული მუნიციპალური ქონების (არამატერიალური აქტივების) მართვისა და განკარგვის მდგომარეობის აუდიტი - 28

5. გარე განათების (მათ შორის არსებული ობიექტების ექსპლუატაციისა და მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების) და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ქ. ქუთაისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახვის სისრულისა და სისწორის აუდიტი. ---------- 31

შესავალი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 17 იანვრის N3/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის მერია, იურიდიული **მისამართი:** ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3, ტელ 0-431-4-49-83 / ფაქსი 0-431-4-69- 62.

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი სერგო აბაშიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორი გიორგი შურღაია, აუდიტორ-ასისტენტი ასმათ ლილუაშვილი.

აუდიტის პერიოდი - 01/01/2008–31/12/2010 წელი.

აუდიტის ვადა - 20/01/2011 – 18/02/2011 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი

თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის მერია - მერია;
თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის საკრებულო - საკრებულო;
საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - შესყიდვების სააგენტო;
ინდივიდუალური მეწარმე - ი/მ;
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შ პ ს;
სააქციო საზოგადოება - ს ს;
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ს ს ი პ.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. 2008-2010 წლებში ქ. ქუთაისის მერიის მიერ არ იყო დაცული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები. კერძოდ: ქ. ქუთაისის ბიუჯეტში გარე განათების ექსპლუატაციისა და საახალწლო ღონისძიებებზე გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი არ არის დასაბუთებული სათანადო გაანგარიშებით. აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი მონაცემები თვეში გარე განათების 1 ნათურაზე მომსახურების სავარაუდო ფასების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნულის შედეგად 2008 წელს გარე განათების ექსპლუატაციის მომსახურებაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ ი/მ „პეტრე გადელია“-სთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით 1 ნათურაზე მომსახურების სახელშეკრულებო ფასმა და ფაქტობრივმა ანაზღაურებამ 8 ლარი შეადგინა მაშინ, როდესაც 2010 წელს ანალოგიურ მომსახურებაზე ტენდერში გამარჯვებულ შპს „შაგუ+“-სთან ხელშეკრულება გაფორმებულია 3,16 ლარზე. ასევე სათანადოდ დასაბუთებული გაანგარიშებების გარეშე იყო განსაზღვრული საახალწლო ქალაქგაფორმების ღონისძიებებისათვის შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და შესაბამისი ფინანსური მაჩვენებლები;

2. 2008 წელს არ იყო დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები. კერძოდ: გარე განათების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების და საახალწლო ღონისძიებების შესყიდვაზე დადებულია ხელშეკრულებები დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნების ზევით, საერთო თანხით 179.6 ათას ლარზე. აქედან, ფაქტობრივი შესყიდვა განხორციელებულია კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე, საერთო თანხით 30.0 ათასი ლარი;

3. 2008, 2010 წლებში არ იყო დაცული „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები. კერძოდ: 2008 წელს საახალწლო აქსესუარებისა და ილუმინაციების შესყიდვები ნაცვლად კაპიტალური ხარჯების მუხლისა განხორციელებულია სუბსიდიური დაფინანსებით. ანალოგიური შესყიდვები 2010 წელს ნაცვლად არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლისა განხორციელებულია სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯების მუხლით;

4. სააუდიტო პერიოდში წარმოდგენილი საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო და შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი დოკუმენტების აუდიტით დადგინდა, რომ შპს „ინჟმშენი-96“-ის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტებში ზოგიერთი დასახელების სამუშაოებზე დაფიქსირებული ფასები აღემატება სატენდერო წინადადებებთან ერთად

წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვებში იმავე დასახელების სამუშაოებზე დაფიქსირებულ ფასებს. აღნიშნულის შედეგად ქ. ქუთაისის მერიის მიერ ამ შპს-ზე ზედმეტადაა მასზე ანაზღაურებული 1,2 ათასი ლარი, რის გამოც აღნიშნული თანხა ექვემდებარება მერიის ბიუჯეტში დაბრუნებას. ასევე დადგინდა, რომ საერთოდ არ არის დემონტირებული მასალები უკან დაბრუნებული და მათზე მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებული. არის ფაქტები, როდესაც შესრულებული სამუშაოების აქტებში არ არის დაფიქსირებული პროექტებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების შესაბამისისი რაოდენობები. ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც შესრულებული სამუშაოების აქტებში ერთგვაროვან მასალებზე (სანათი არმატურები, ბოძები, ბოძების მონტაჟი, ლამპიონები და სხვა) სხვადასხვა ფასებია დაფიქსირებული;

5. 2008-2009 წლებში არ სრულდებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციების მოთხოვნები. კერძოდ: ქ. ქუთაისში გარე განათების კაპიტალურ შეკეთებაზე შესრულებული სამუშაოები და ექსპლუატაციაში გადაცემული ობიექტები, ასევე შესყიდული საახალწლო აქსესუარები და ილუმინაციები, საერთო ღირებულებით 944,8 ათასი ლარი, მერიის ბალანსზე ბუღალტრულად აღრიცხული არ არის. გარე განათების კაპიტალური სამუშაოების შესრულებისას დემონტირებული სანათი არმატურების ვარგისიანობაზე არ არის შედგენილი აქტები, არ არის სათანადოდ შეფასებული და ბუღალტრულად აღრიცხული (ვარგისები მეორადი გამოყენების მიზნით და უვარგისები ჯართის სახით). ამასთან, 2009 წელს გარე განათების ექსპლუატაციაზე ფაქტობრივად გაწეულ მომსახურების ღირებულებასა და ამ მომსახურებაზე ანაზღაურებულ ღირებულებას შორის სხვაობა, თანხით 4.1 ათასი ლარი ბუღალტრულად არც ხარჯებში და არც კრედიტორულ დავალიანებაშია აღრიცხული.

ძირითადი ტექსტი

1. გარე განათების (მათ შორის არსებული ობიექტების ექსპლუატაციისა და მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების) და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისათვის ქ. ქუთაისის ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებების გათვალისწინებისა და დამტკიცებულ მოცულობაში ცვლილებების შეტანის მდგომარეობის აუდიტი.

სააუდიტო პერიოდში (2008-2009-2010 წწ) ქ. ქუთაისის დამტკიცებულ ბიუჯეტებში გარე განათებისა და საახალწლო ღონისძიებები გათვალისწინებულია პროგრამების სახით. კერძოდ: გარე განათების ექსპლუატაციისა და ახალი სანათი წერტილების მოწყობის პროგრამა, ასევე, ახალი წლის ღონისძიებების პროგრამა.

აღნიშნული პროგრამების დაფინანსების წყაროებია ქ. ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება.

- **გარე განათება**

ცხრილი 2008-2009-2010 წლებში ქ. ქუთაისის გარე განათების ღონისძიებებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	2008	2009	2010	სულ სააუდიტო პერიოდი
სულ დამტკიცებული	800.0	1430.0	1275.0	3505.0
ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა	800.0	1150.0	1275.0	3225.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	-	280.0	-	280.0
სულ დაზუსტებული	1465.0	1426.0	2812.0	5703.0
ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა	1000.0	1065.0	1312.0	3377.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	465	361	1500	2326
დაზუსტებული გეგმის ცვლილება დამტკიცებულთან %-ში	83.1%	- 0.2%	120.5%	62.7%

როგორც ცხრილიდან ჩანს, სააუდიტო პერიოდში ქ. ქუთაისის ბიუჯეტში გარე განათების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დაგეგმვისას ადგილი ჰქონდა საპროგნოზო მაჩვენებლების არასრულ ან საერთოდ არგანსაზღვრის ფაქტებს, რის გამოც

სისტემატიური ხასიათი ჰქონდა შემდგომ დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებას. კერძოდ: 2008 წელს დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 83.1 %-ით, 2010 წელს - 120.5 %-ით. 2008, 2009 და 2010 წლებში დამტკიცებული ბიუჯეტებით გარე განათების ღონისძიებებზე განსაზღვრულია სულ 3505.0 ათასი ლარი, ხოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით დაზუსტებული ბიუჯეტებით განსაზღვრულმა თანხამ შეადგინა 5703.0 ათასი ლარი (62.7 %), 2198.0 ათასი ლარით მეტი. 2008 და 2010 წლებში გარე განათების კაპიტალური რემონტების სამუშაოები დამტკიცებულ ბიუჯეტებში საერთოდ არ იყო განსაზღვრული, ხოლო 2008 წლის ბოლოს დაზუსტებული ბიუჯეტით ის განისაზღვრა 465.0 ათასი ლარი და 2010 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით - 1500.0 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 ივნისის N420 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 300.0 ათასი ლარი, ქუთაისის ცენტრალური ნაწილის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოების შეუფერხებელი განხორციელებისათვის, რომლის საფუძველზეც ქ. ქუთაისის საკრებულომ 2008 წლის 23 სექტემბრის N168 დადგენილებით განახორციელა ცვლილება დამტკიცებულ ბიუჯეტში.

- **საახალწლო ქალაქგაფორმება**

საუდიტო პერიოდში ქ. ქუთაისის ბიუჯეტებში საახალწლო ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელებულია ნაკლოვანებებით. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი საახალწლო ქალაქგაფორმებისათვის საჭირო სამუშაოების მოცულობების განსაზღვრის თაობაზე შესაბამისი ფინანსური გაანგარიშებები. წლების მიხედვით ბიუჯეტის გადასახდელების საგეგმო მაჩვენებლებში არ იყო, ან არასრულად იყო გათვალისწინებული საახალწლო ღონისძიებების განსახორციელებლად არაფინანსური აქტივების მუხლით საახალწლო აქსესუარების შეძენის ხარჯები.

ცხრილი 2008-2009-2010 წლებში ქ. ქუთაისში საახალწლო ღონისძიებებზე დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	2008	2009	2010	სულ საუდიტო პერიოდი
სულ დამტკიცებული	85.0	60.0	100.0	245.0
სხვა საქონელი და მომსახურება	85.0	60.0	100.0	145.0
არაფინასური აქტივების ზრდა	-	-	-	-

სულ დაზუსტებული	540.7	199.0	146.2	885.9
სხვა საქონელი და მომსახურება	540.7	119.0	146.2	805.9
არაფინასური აქტივების ზრდა	-	80.0	-	80.0
დაზუსტებული გეგმის სხვაობები დამტკიცებულთან %-ში	536.1%	231.7%	46.2%	261.6%

როგორც ცხრილიდან ჩანს, სააუდიტო პერიოდში ქ. ქუთაისის ბიუჯეტში, გარე განათების ღონისძიებების მსგავსად, საახალწლო ღონისძიებების დაგეგმვისას ადგილი ჰქონდა საპროგნოზო მაჩვენებლების არასრულ ან საერთოდ არგანსაზღვრის ფაქტებს. კერძოდ:

2008 წელს ქ. ქუთაისის საკრებულოს 2008 წლის 27 ნოემბრის N183 დადგენილებით დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით ახალი წლის ღონისძიებების ასიგნება სუბსიდიური დაფინანსებით გაზრდილია 536.1%-ით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 540.7 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს ზემოთ აღნიშნული ცვლილებებით ასიგნება გაზრდილია მხოლოდ სუბსიდიური დაფინანსებით. ვინაიდან 2008 წელს საახალწლო აქსესუარების და ილუმინაციების მოწყობა-მონტაჟი და მათი შეძენა ბიუჯეტში გათვალისწინებულია მხოლოდ სუბსიდიური დაფინანსებით, ხოლო ფაქტობრივად განხორციელებულია მათი შეძენა (618.5 ათასი ლარი), ამისათვის მათი შეძენა ბიუჯეტში უნდა განსაზღვრულიყო არა სუბსიდიური დაფინანსებით, არამედ კაპიტალური ხარჯების მუხლით. აღნიშნული კი ბიუჯეტში გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების არასწორი გაანგარიშებების შედეგია.[1]

2009 წელს დამტკიცებულ ბიუჯეტში საახალწლო ღონისძიებები (60.0 ათასი ლარი) გაიზარდა - 231.7 %-ით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 199.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ დამტკიცებულ ბიუჯეტში საახალწლო ღონისძიებებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაფინანსება საერთოდ არ იყო განსაზღვრული, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით აღნიშნულმა მუხლმა შეადგინა 80.0 ათასი ლარი.

2010 წლის 28 დეკემბრის ქ. ქუთაისის საკრებულოს N257 დადგენილებით თვითმმართველი ქ. ქუთაისის 2010 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ახალი წლის ღონისძიებების ასიგნება სუბსიდიური დაფინანსებით განისაზღვრა 100.0 ათასი ლარით, რაც საკრებულოს 2010 წლის 15 ნოემბრის N53 დადგენილებით განხორციელებული

[1] არ არის დაცული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა.

ცვლილებით გაზრდილია 46.2 %-ით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 146.2 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ქ. ქუთაისის საახალწლო ღონისძიებების ასიგნება ითვალისწინებდა საახალწლო ღონისძიებებზე როგორც სხვადასხვა სამუშაოების შესრულებასა და მომსახურების გაწევას, ასევე საახალწლო აქსესუარებისა და ილუმინაციების შესყიდვას (ფაქტობრივად შეძენილია სულ 78.9 ათასი ლარის აქსესუარები და ილუმინაციები), რომლის დაფინანსება უნდა განხორციელებულიყო არა საქონელი და მომსახურების მუხლით, არამედ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, რაც ასევე ბიუჯეტში გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების არასწორი გაანგარიშების შედეგია.[2]

რეკომენდაციები:

ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურმა ბიუჯეტის პროექტის შედგენისას სათანადო გაანგარიშებების საფუძველზე უზრუნველყოს გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების სრულად და ხარჯების კლასიფიკაციის მიხედვით სწორად განსაზღვრა.

2. გარე განათების (მათ შორის არსებული ობიექტების ექსპლუატაციისა და მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების) და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისათვის მუნიციპალური შესყიდვების განხორციელების მდგომარეობის აუდიტი.

სააუდიტო პერიოდში ქ. ქუთაისის მერიისა და საკრებულოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმებში გარე განათებისა და საახალწლო ღონისძიებების შესყიდვების ნაწილში არ არის მოხდენილი ცვლილებები ქ. ქუთაისის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. აღნიშნულის გამო წლების მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების საბოლოო კორექტირებულ გეგმებში დაფიქსირებული გარე განათებისა და საახალწლო ღონისძიებების შესასყიდად განსაზღვრული მოცულობები არ შეესაბამება დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ მოცულობებს. კერძოდ:

2008 წლის შესყიდვების კორექტირებულ გეგმაში გარე განათების ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის შესყიდვის ღირებულება დაფიქსირებულია 225.1 ათასი ლარი, თუმცა დაზუსტებულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 362.1 ათასი ლარი, ხოლო

[2] არ არის დაცული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

ხელშეკრულება შესყიდვაზე დადებულია 282.3 ათას ლარზე. იმავე წელს საახალწლო ღონისძიებების შესყიდვაზე კორექტირებულ გეგმაში დაფიქსირებულია 513.7 ათასი ლარი, დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებულია 540.7 ათასი ლარი, ხოლო ხელშეკრულებები დადებულია 690.3 ათას ლარზე.

2009 წელს შესყიდვების კორექტირებულ გეგმაში გარე განათების კაპიტალური შეკეთების შესყიდვის მაჩვენებელი შეადგენს 133.8 ათას ლარს (2 შესყიდვა: 66.8 ათასი და 67.0 ათასი ლარი), ხოლო დაზუსტებულ ბიუჯეტში კი - 361.0 ათას ლარს. ასევე, საახალწლო ღონისძიებების შესყიდვაზე შესყიდვების კორექტირებული გეგმით გათვალისწინებულია 160.7 ათასი ლარი, ნაცვლად დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული 199.0 ათასი ლარისა.

2010 წელს საახალწლო ღონისძიებების შესყიდვაზე შესყიდვების კორექტირებულ გეგმაში დაფიქსირებულია 121.8 ათასი ლარი, ხოლო დაზუსტებულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 146.2 ათასი ლარი.

2008 წელს გარე განათების ექსპლუატაციასა და ახალი სანათი წერტილების მოწყობაზე ქ. ქუთაისის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში შესრულებულია შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:

გარე განათების ექსპლუატაცია					
N	შესყიდვის საშუალება	ხელშეკრულების დადების თარიღი	შემსრულებელი	სახელშეკრულებო თანხა (ათასი ლარი)	შენიშვნა
1	ეპმ	28.12.2007	ი/მ „პეტრე გადელია“	-	ხელშეკრულებაში თანხა მითითებული არ არის
2	ტენდერი	7.04.2008	ი/მ „პეტრე გადელია“	283.0	
	სულ			**283.0**	
გარე განათების კაპ-შეკეთება					
1	ეპმ	29.04.2008	შპს „აბგ პროფსერვის გრუპი“	300.0	საქ. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 18.06.08. N420 განკარგულება
2	ეპმ	15.12.2008	შპს „ინჟმშენ - 96“	15.0	
3	ეპმ	14.05.2008	შპს „ინჟმშენ - 96“	180.0	
	სულ			**495**	

2007 წლის 28 დეკემბერს ქ. ქუთაისის მერიასა და ი/ს „პეტრე გადელიას" შორის დადებულია ხელშეკრულება N1 ქ. ქუთაისში გარე განათების ობიექტების მოვლა-პატრონობა ექსპლუატაციაზე (ხელშეკრულების დანართი N1-ის თანახმად - 2335 სანათ წერტილზე).

2007 წლის 28 დეკემბერს ი/ს „პეტრე გადელიას" მიერ წარმოდგენილ მიმწოდებლის წინადადებაში ქალაქში გარე განათების სანათი წერტილების გამართული მუშაობა სინათლის კალენდრის მიხედვით, ჩართვა-გამორთვა, მათი მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა მის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე განსაზღვრული აქვს ერთ ნათურაზე 8.0 ლარი, რაც ხელშეკრულებაში ასახული არ არის.[3] ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდებოდა მხოლოდ 2008 წლის იანვარში.

2008 წლის 31 იანვარს მხარეებს შორის გაფორმებული იქნა ახალი შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 2008 წლის 1 თებერვლიდან და მოქმედების ვადა განისაზღვრა 2008 წლის ბიუჯეტის დამტკიცებიდან, აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო შესყიდვის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედებაში შესვლამდე. ფაქტობრივად ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული შეთანხმება მოქმედებდა 2008 წლის 1 აპრილამდე, ხოლო 2008 წლის აპრილიდან წლის ბოლომდე მოქმედებდა ტენდერის საშუალებით დადებული ხელშეკრულება ღირებულებით - 283.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების პირობით 1 ნათურის მომსახურება კვლავ 8 ლარს შეადგენდა, ვინაიდან მერიას არ გააჩნდა 1 ნათურაზე მომსახურების გაანგარიშებული სავარაუდო ფასი, არ იცნობდა ბაზრის კონუქტურას, სატენდერო კომისიის მიერ მიღებულია ი/მ „პეტრე გადელია"-ს მიერ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ფასი - 8 ლარი.

2008 წელს ქ. ქუთაისის დაზუსტებული ბიუჯეტით გარე განათების ქსელის რეაბილიტაციისათვის კაპიტალური ხარჯების მუხლით განსაზღვრული იყო მხოლოდ 465.0 ათასი ლარის ხარჯის გაწევა, რის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო ამ სამუშაოების შესყიდვები. ერთი ასეთი სახის შესყიდვაზე შპს „ინჟმშენ - 96"-თან დადებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია გარე განათების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვა, საერთო თანხით - 180.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად გაწეული ხარჯია 179.8 ათასი ლარი. აღნიშნულ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული თუ რა ოდენობის მიმდინარე შეკეთება უნდა შესრულებულიყო და რა ოდენობის კაპიტალური შეკეთება. ვინაიდან დაზუსტებული ბიუჯეტით კაპიტალური შესყიდვების გეგმა ითვალისწინებდა 465.0 ათასი ლარის კაპიტალური რემონტების შესყიდვას და აღნიშნული ხელშეკრულებით საერთო ღირებულება 30.0

[3] დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

ათასი ლარით აჭარბებდა ბიუჯეტით განსაზღვრული კაპიტალური შეკეთების გეგმას, 30.0 ათასი ლარის ფაქტობრივი შესრულება აღიარეს მიმდინარე შეკეთებად, ხოლო 149.8 ათასი ლარი - კაპიტალურ შეკეთებად, ნაცვლად 179.8 ათასი ლარის სრულად კაპიტალურ შეკეთებად აღიარებისა. აქედან 30.0 ათასი ლარის დაფინანსება ფაქტობრივად უზრუნველყოფილია არა კაპიტალური ხარჯების მუხლიდან, არამედ გარე განათების ექსპლუატაციის ასიგნებიდან სუბსიდიური დაფინანსებით. აღნიშნული ჯერ ერთი, 2008 წელს კაპიტალური ხარჯების გასაწევად საპროგნოზო მაჩვენებლების არასწორი გაანგარიშების შედეგია და მეორეც, დადებულია ხელშეკრულებები და განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვები დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით.[4]

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქ. ქუთაისში ისტორიული ზონის კეთილმოწყობის ღონისძიებებში გათვალისწინებული გარე განათების კაპიტალური სამუშაოების შესრულების მიზნით 2008 წლის 29 აპრილს შპს „აბგ პროფსერვის გრუპ"-თან დადებულია ხელშეკრულება N2/4[1] ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ქ. ქუთაისის ისტორიული ზონის კეთილმოწყობისათვის გარე განათების აპარატურის შესყიდვაზე საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 1998.4 ათასი ლარი. მიმწოდებლის მიერ მოწოდებული მოწყობილობები და აპარატურა 2008 წლის ივლისში გაფორმებული სხვადასხვა მიღება-ჩაბარების აქტებით მიღებული აქვს მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსს გრ. ბალანჩივაძეს ისე, რომ აღნიშნული მატერიალური ფასეულობის ბუღალტრული ასახვა არ მომხდარა.

აღნიშნული ღირებულების აპარატურის გამოყენების დადგენის მიზნით აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში წარმოდგენილი იქნა ქუთაისის მერის 2009 წლის 17 თებერვლის N187 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა (უთარიღო), ქ. ქუთაისის ისტორიულ ზონაში შპს „თბილისი-2005"-ის მიერ გარე განათების სამუშაოების შესრულების აქტები (ფორმა N2, უთარიღო) ღირებულებით 163.9 ათასი ლარი და 267.9 ათასი ლარი. ამასთან, 2009 წლის 6 მარტით დათარიღებული შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაერთი აქტი, სადაც დაფიქსირებულია, რომ ქ. ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე სულ. შესრულებული - 10390.1 ათასი ლარის სამუშაოებიდან გარე განათებაზე შესრულებულია (შეძენილი გარე განათების აპარატურის ღირებულების გარდა), სულ 431.9 ათასი ლარის სამუშაოები.

---

[4] არ არის დაცული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, ისტორიულ ზონაში კეთილმოწყობითი სამუშაოების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ქ. ქუთაისში ისტორიული ზონაში შესრულებული გარე განათების კაპიტალური სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 2430.3 ათას ლარს.

2009 წელს ქ. ქუთაისში გარე განათების ექსპლუატაციასა და ახალი სანათი წერტილების მოწყობაზე ქ. ქუთაისის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში შესრულებულია შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:

გარე განათების ექსპლუატაცია				
N	შესყიდვის საშუალება	ხელშეკრულების დადების თარიღი	შემსრულებელი	სახელშეკრულებო თანხა (ათასი ლარი)
1	ეპმ	09.01.2009	ი/მ „პეტრე გადელია“	94.5
2	ტენდერი	01.04.2009	შპს „შაგუ +“	226.0
	სულ			**320.5**
გარე განათების კაპ-შეკეთება				
1	ტენდერი	08.05.2009	შპს „ინჟმშენი - 96“	227.1
2	ეპმ	7.09.2009	შპს „ინჟმშენი - 96“	66.8
3	ეპმ	17.11.2009	შპს „ინჟმშენი - 96“	67.0
	სულ			**360.9**

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლების მიერ 2009 წელს გარე განათების ექსპლუატაციაზე შესრულებული სამუშაოების აქტებით შესრულებები წარმოდგენილია სულ 314.4 ათას ლარზე (94.4 ათასი ლარი ი/მ „პეტრე გადელია“-ს მიერ და 220.0 ათას ლარზე შპს „შაგუ +“-ს მიერ). ფაქტობრივად ანაზღაურებულია და გარე განათების საკასო ხარჯში ნაჩვენებია სულ 310.3 ათასი ლარი, 4.1 ათასი ლარით ნაკლები, აქედან 2.1 ათასი ლარით ნაკლები ი/მ „პეტრე გადელია“-ზე და 2.0 ათასი ლარით ნაკლები შპს „შაგუ +“-ზე, ისე, რომ აღნიშნული თანხა ბუღალტრულად ფაქტობრივ ხარჯში ასახული არ არის და შესაბამისად არც კრედიტორულ დავალიანებაშია აღრიცხული.[5]

2010 წელს გარე განათების ექსპლუატაციასა და ახალი სანათი წერტილების მოწყობაზე ქ. ქუთაისის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში შესრულებულია შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:

[5] არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა.

გარე განათების ექსპლუატაცია				
N	შესყიდვის საშუალება	ხელშეკრულების დადების თარიღი	შემსრულებელი	სახელშეკრულებო თანხა (ათასი ლარი)
1	ეპმ	5.02.2010	შპს „შაგუ +“	40.3
2	ტენდერი	08.02.2010	შპს „შაგუ +“	210.7 (179.8+30.9)
	სულ			**251.0**
გარე განათების კაპ-შეკეთება				
1	ტენდერი	07.04.2010	შპს „ფაროსი“	922.4
2	ტენდერი	14.05.2010	შპს „ინჟმშენი - 96“	446.2
3	ტენდერი	14.05.2010	შპს „ინჟმშენი - 96“	53.3
4	ფასთა კოტირება	05.07.2010	შპს „ინჟმშენი - 96“	131.0
5	ტენდერი	02.11.2010	შპს „მეოხი“	253.9
6	ტენდერი	02.11.2010	შპს „დენდი“	102.7
	სულ			**1909.5**

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის გარე განათების ექსპლუატაციის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში სატენდერო კომისიის მიერ ზეპირი ვაჭრობის შემდეგ გამარჯვებულად იქნა ცნობილი შპს „შაგუ +“, მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასით 179.8 ათასი ლარი, მაშინ როდესაც ორ პრეტენდენტს დაფიქსირებული აქვთ უფრო დაბალი ფასები. კერძოდ, შპს „მეოხ“-ს – 178.0 ათასი ლარი, 1.8 ათასი ლარით ნაკლები და შპს „ამქარი ქართუ“-ს - 177.5 ათასი ლარი, 2.3 ათასი ლარით ნაკლები. ადგილი აქვს მერიის მიერ უფრო მაღალი სატენდერო ღირებულების მქონე პრეტენდენტის გამარჯვებულად გამოვლენას.

ქალაქ ქუთაისის მერიის სატენდერო კომისიის მიერ 2010 წლის 5 მარტს მიღებულია გადაწყვეტილება, ქ. ქუთაისში 133 ქუჩის გარე განათების კაპიტალური სამუშაოების ტენდერის საშუალებით შესყიდვის შესახებ, რომლის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1 500.0 ათასი ლარით. ტენდერი დაყოფილი იქნა 4 ლოტად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 6-მა პრეტენდენტმა.

სატენდერო კომისიის შეფასებებიდან გამომდინარე ქ. ქუთაისში ოთხივე ლოტში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ფაროსი“ და 2010 წლის 7 აპრილს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულებით მიწოდების საბოლოო ვადად განისაზღვრა 7 ივლისი (ხელშეკრულების შესრულების ვადა შემდგომ გაზრდილია 21 ივლისამდე), ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 922.3 ათასი ლარი, ანუ გამოცხადებულ სავარაუდო ფასზე 577,7 ათასი ლარით ნაკლები.

აღსანიშნავია, რომ ტენდერში წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შეფასებისას ადგილი ჰქონდა დარღვევებს, რომელმაც გავლენა იქონია ტენდერის შედეგებზე. კერძოდ: გამოცდილების კუთხით შპს „ფაროს“-ს თითოეულ ლოტში

მიღებული აქვს 43 ქულა, პრიორიტეტულობის კოეფიციენტის 0,3-ზე გამრავლებით - 12,9 ქულა. უნდა აღინიშნოს რომ შპს „ფაროსი" დაფუძნებულია და საქმიანობა დაწყებული აქვს 2010 წლის თებერვალში და მას ინფორმაციად ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილების შესახებ, ნაცვლად 3 წლის გამოცდილებისა, წარმოდგენილი აქვს ცნობა, რომ ფირმა დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების მქონე პერსონალით, რომლებიც დასაქმებული იყვნენ: შპს „ენერჯი-ინვესტ გრუპ"-ში, შპს „ენერგო-სექტორ"-ში, შპს „ჯე-ამბერ გრუპ"-ში და რომელთაც სხვადასხვა პერიოდში შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები. გამოცდილების შესახებ ასეთი ინფორმაციის წარმოდგენაში შპს „ფაროს"-ს თითოეულ ლოტში მიღებული აქვს როგორც მინიმუმ 12,9 ქულით მეტი, მაშინ როდესაც საბოლოო შედეგებით - ლოტ N1 ზე მან მეორე ადგილზე გასულს აჯობა- 7,7 ქულით, ლოტ N2 ზე - 9 ქულით, ლოტ N3-ზე - 7,4 ქულით, ლოტ N4 ზე - 9,7 ქულით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით აუდიტის მიერ დამოწმებული ბალანსის მიხედვით შპს „ფაროს"-ის ბალანსზე აქტივის მხარეს ირიცხებოდა მხოლოდ ფულადი სახსრები - 16.9 ათასი ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა სატენდერო კომისიის მიერ მას 70 მაქსიმალური ქულიდან მინიჭებული აქვს 52 ქულა.

- **საახალწლო ღონისძიებების შესყიდვები**

2008 წელს საახალწლო ღონისძიებების შესყიდვაზე დადებულია 3 ხელშეკრულება:

N	შესყიდვის საშუალება	შესასრულებული სამუშაო	შემსრულებელი	სახელშეკრულებო თანხა (ათასი ლარი)
1	ფასთა კოტირება	საახალწლო დეკორაციების მოწყობა	შპს „მარი"	56.0
2	ეპმ	ქალაქის ისტორიული ნაწილის საახალწლო დეკორაციების მონტაჟი-დემონტაჟი	შპს „გესკო"	450.7
3	ეპმ	ქალაქის ისტორიული ზონის საახალწლო პრეზენტაციისათვის საახალწლო აქსესუარების შეძენა	შპს „არტ ლაინ თრეველი"	183.6
	სულ			**690.3**

2008 წელს საახალწლო აქსესუარების შესყიდვა განხორციელებულია დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნების ზევით. კერძოდ: 2008 წელს დაზუსტებული ბიუჯეტით საახალწლო ღონისძიებების ასიგნება განსაზღვრული იყო

540.7 ათასი ლარით, ხოლო ხელშეკრულებები შესყიდვებზე დადებულია 690.3 ათას ლარზე, ანუ 149.6 ათასი ლარით მეტზე.[6] აღნიშნული გამოწვეულია შემდეგით.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის N874 განკარგულებით ქ. ქუთაისის ცენტრალური ნაწილის ისტორიული უბნების სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპის დასრულებასთან დაკავშირებით საპრეზენტაციო ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ქ. ქუთაისის მერიას გამოეყო 227.4 ათასი ლარი, რის შესაბამისად 2008 წელს ქ. ქუთაისის მერიას 2008 წლის 15 დეკემბერს დადებული აქვს ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით შპს „არტ ლაინ თრეველ"-თან საახალწლო აქსესუარების შესყიდვაზე სახელშეკრულებო ღირებულებით 183.6 ათასი ლარზე ისე, რომ აღნიშნული განკარგულების შესაბამისად 2008 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილება არ განხორციელებულა.[7]

მიმწოდებელსა და მყიდველს შორის შედგენილი 2008 წლის 29 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის თანახმად საახალწლო აქსესუარების შეძენა მოხდა 2008 წლის 29 დეკემბრისათვის საერთო ღირებულებით 183.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ბუღალტრულად ასახული არ არის (არც ფაქტობრივ ხარჯში და არც კრედიტორულ დავალიანებაში).[8]

საქართველოს პრეზიდენტის ზემოთ აღნიშნული განკარგულებით გამოყოფილი თანხა 227.4 ათასი ლარი გათვალისწინებული იქნა 2009 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში კულტურის ღონისძიებებში ნაცვლად არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლისა საქონელი და მომსახურების ხარჯების მუხლში.

2009 წელს საახალწლო ღონისძიებების შესყიდვაზე დადებულია 3 ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით:

N	შესყიდვის საშუალება	შესასრულებელი სამუშაო	შემსრულებელი	სახელშეკრულებო თანხა (ათასი ლარი)
1	ეპმ	საახალწლო დეკორაციების დემონტაჟი	შპს „არქიტრავი"	23.1
2	ეპმ	საახალწლო დეკორაციების მოწყობა-მონტაჟი	შპს „აღმდგენი"	80.1

[6] არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა

[7] არ არის შესრულებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

[8] არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

3	ეპმ	საახალწლო აქსესუარების შეძენა	შპს „ატრიუმი“	80.0
	სულ			**183.2**

ცხრილში აღნიშნული შესყიდვები დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნების ფარგლებშია. 2009 წელს შპს „გესკო“-ზე წინა წლის ხელშეკრულების შესაბამისად საახალწლო აქსესუარების დემონტაჟზე შესრულებული 15.8 ათასი ლარის გათვალისწინებით ფაქტობრივად განხორციელებულია საახალწლო ღონისძიებები 199.0 ათასი ლარის (100 %), აქედან 80.0 ათასი ლარის არაფინანსური აქტივების ზრდაა.

2010 წელს საახალწლო ღონისძიებების შესყიდვაზე დადებულია 3 ხელშეკრულება:

N	შესყიდვის საშუალება	შესასრულებელი სამუშაო	შემსრულებელი	ხელშეკრულები თანხა (ათასი ლარი)
1	ეპმ	საახალწლო დეკორაციებისა და აქსესუარების მოწყობა-მონტაჟი	შპს „აღმდგენი“	35.0
2	ეპმ	საახალწლო დეკორაციებისა და აქსესუარების მოწყობა-მონტაჟი	შპს „შაგუ +“	30.0
3	ფასთა კოტირება	საახალწლო ნაძვის ხის, ეტლისა და თოვლის ბაბუის შეძენა	შპს „ჯი და ჯი კომპანია“	65.0
	სულ			**130.0**

2010 წელს ფაქტობრივი შესყიდვები განხორციელებულია 129.7 ათასი ლარი, ხოლო საბაჟო მოსაკრებლებისა (დღგ-ს ჩათვლით სულ - 15.5 ათასი ლარი) და სატერმინალო მომსახურების (0.4 ათასი ლარი) გათვალისწინებით შეადგენს სულ 145.6 ათას ლარს, რაც დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნების (146.2 ათასი ლარი) ფარგლებშია.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს დაზუსტებულ ბიუჯეტში საახალწლო ღონისძიებების ასიგნება სრულად გათვალისწინებული იყო სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით, მაშინ როდესაც შპს „ჯი და ჯი კომპანი“-იდან შეძენილია ნაძვის ხე, ეტლი და თოვლის ბაბუა საერთო ღირებულებით 65.0 ათას ლარად, განბაჟების გარეშე (განბაჟება მოხდენილია თანახმად ხელშეკრულებისა მერიის მიერ საერთო ღირებულებით 15.9 ათასი ლარი), რომლის დაფინანსება უნდა განხორციელებულიყო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.[9]

[9] არ არის დაცული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

3. გარე განათების (მათ შორის არსებული ობიექტების ექსპლუატაციისა და მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების) და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისათვის ქ. ქუთაისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის მდგომარეობის აუდიტი.

- **გარე განათების ღონისძიებების სულ ხარჯები**

ცხრილი 2008-2009-2010 წლებში გარე განათების ღონისძიებებზე
გაწეული სულ ხარჯების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	2008	2009	2010	სულ სააუდიტო პერიოდი
დაზუსტებული გეგმა	1465.0	1426.0	2812.0	5703.0
ფაქტიური ხარჯი	1355.3	1282.4	2437.6	5075.3
ფაქტიური ხარჯის სხვაობები გეგმასთან %-ში	92.5%	89.9%	86.7%	89.0%
საკასო ხარჯი	1355.3	1278.3	2321.6	4955.2
საკასო ხარჯის სხვაობები გეგმასთან %-ში	92.5%	89.6%	82.6%	86.9%

როგორც ცხრილიდან ჩანს სააუდიტო პერიოდში გარე განათების ღონისძიებებზე დაზუსტებულ გეგმებთან შედარებით სისტემატიური ხასიათი აქვს ფაქტობრივი და საკასო ხარჯების შეუსრულებლობას, რაც ნათლად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ დამტკიცებულ ბიუჯეტში გარე განათების ღონისძიებების თაობაზე ცვლილებები განხორციელებულია სათანადო გაანგარიშებების გარეშე. ამასთან აღსანიშნავია, რომ წლების მიხედვით შეუსრულებლობის მონაცემები ნაცვლად შემცირებისა, პირიქით გაზრდილია. ასე მაგალითად, 2008 წელს თუ შესრულება არის 92.5 %, 2009 წელს ის არის 89.6 % და 2010 წელს - 82.6 %.

2009 წელს ფაქტობრივ ხარჯსა და საკასო ხარჯს შორის სხვაობაზე 4.1 ათას ლარზე და 2010 წელს 116.0 ათას ლარის სხვაობაზე განმარტებები სრულად ქვემოთაა მითითებული.

- **ელექტროენერგიის ხარჯები**

აუდიტის პერიოდში ქ. ქუთაისში გარე განათებაზე ელექტროენერგიის მომწოდებელია სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ქუთაისის მომსახურების ცენტრი. წარმოდგენილი განმარტების თანახმად, ელ-ენერგიის ხარჯის აღრიცხვა ხდება ქალაქის ქუჩებში დამონტაჟებული ელ-მრიცხველების ჩვენებით, ხოლო გარე განათების ნათურების ჩართვა ხდება აპარატურის ჯიხურთან დაყენებული ფოტორელეების მეშვეობით და 2 ადგილზე მექანიკური

ჩართვის საშუალებით. გარე განათების ჩართულობა თვეების მიხედვით შედგენილი გრაფიკის თანახმად სხვადასხვაა, ხოლო საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 11.07 სთ-ს.

2008-2009-2010 წლებში ელექტროენერგიის საშუალო ხარჯის შესახებ 1 ნათურაზე გაანგარიშებით რაოდენობრივად და ღირებულებით გამოსახული

N	დასახელება	2008	2009	2010
1	ელ-ენერგიის ხარჯი (კვ/სთ)	3829.4	4402.4	5284.7
2	ნათურების საშუალო რაოდენობა (ცალი)	3357.5	4816	7465
3	ელ-ენერგიის ხარჯი ერთ ნათურაზე (კვ/სთ)	1140	914	708
4	ელ-ენერგიის ხარჯი (ათასი ლარი)	528.6	607.7	786.4
5	ელ-ენერგიის ხარჯი ერთ ნათურაზე (ლარი)	**157**	**126**	**105**

როგორც ცხრილიდან ჩანს, სააუდიტო პერიოდში ნათურების რაოდენობა წლების მიხედვით იზრდება, ხოლო ელექტროენერგიის ხარჯი 1 ნათურაზე გაანგარიშებით კლებულობს როგორც რაოდენობრივად, ასევე ღირებულებით. აღნიშნული კი ძირითადში გამოწვეულია მაღალსიმძლავრიანი ნათურების დაბალსიმძლავრიანი ნათურებით შეცვლით და შესაძლებლობის მიხედვით ეკო-ნათურების დაყენებით. კერძოდ: 2008 წლის ბოლოს თუ მთელი რაოდენობის ნათურებში (4255 ცალი) დრლ-250-ანი ნათურების რაოდენობა იყო (1473 ცალი) 34.6 % და დრლ-400-ანი (352 ცალი) – 8.3 %, ხოლო ეკო-ნათურა (255 ცალი) – 6 %, 2010 წლის ბოლოს სულ ნათურების რაოდენობაში (9962 ცალი) დრლ-250-ანი (726 ცალი) იყო - 7.3 %, დრლ-400-ანი (100 ცალი) – 1 %, ხოლო ჩანაცვლებული დნტ-150 ვტ-ანი ნატრიუმის ნათურების რაოდენობა (5754 ცალი) სულ რაოდენობაში იყო - 57.8 % და ეკონათურების (945 ცალი) – 9.5 %.

- **გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის ხარჯები**

დიაგრამა 2008-2009-2010 წლებში ქ. ქუთაისში გარე განათების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ათასი ლარი)



როგორც დიაგრამიდან ჩანს გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე ნაცვლად დაგეგმილი 471.4 ათასი ლარისა, ფაქტობრივი ხარჯია 332.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი - 362.1 ათასი ლარი, ანუ 30.0 ათასი ლარი, როგორც ზევით ავღნიშნეთ ექსპლუატაციის ხარჯებიდან გადატანილია კაპიტალურ ხარჯებში ისე, რომ აღნიშნულის შესახებ დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილება არ განხორციელებულა.



2008 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე პერიოდში გარე განათების მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციაზე ი/მ „პეტრე გადელიას" მერიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად და მის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 2008 წლის იანვარ-თებერვალ-მარტში წარმოდგენილი აქვს გარე განათების ობიექტების ექსპლუატაციაზე სამუშაოების შესრულებისა და ანაზღაურების აქტები. აქტებში დაფიქსირებულია მუშაობაში მყოფი სანათი წერტილები მხოლოდ რაოდენობრივად, რასაც ადასტურებს თავისი დასკვნებით მერიის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, ხოლო თვეში შესრულების გაანგარიშება მოხდენილია მუშაობაში მყოფი სანათი წერტილების გამრავლებით თვეში ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ ფასზე - 8 ლარზე. ანალოგიური გაანგარიშებითაა განსაზღვრული და შესრულებაში ნაჩვენები გარე განათების მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის მომსახურება 2008 წლის დარჩენილ პერიოდში, 2009 და 2010 წლებში, ნაცვლად მიმწოდებლების მიერ გარე განათების მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციაზე გაწეულ მომსახურებაზე შედგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებში გაწეული მომსახურების სახეობების, კერძოდ: მასალის (ელნათურების, პატრონების, სადენების, დროსელების და ა.შ. შეცვლისა და მიმდინარე შეკეთებისა), სატრანსპორტო საშუალებებისა და შრომის ანაზღაურების ხარჯების კონკრეტულად მითითებისა.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს გარე განათების ღონისძიებებში არც ფაქტობრივ და არც საკასო ხარჯში ასახული არ არის 2007 წლის 24 დეკემბერს შპს „ჯორჯიან ბილდინგ"-თან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად ქ. ქუთაისში გელათისა და

სხირტლაძის ქუჩებზე გარე განათების კაპიტალურ შეკეთებაზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება - 73.5 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების შესრულება 2008 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო საბინაო-კომუნალური მეურნეობის ღონისძიებებში ნაცვლად გარე განათებისა, ცალკე ასიგნების სახით პროგრამულად საქართველოს მთავრობის N757 განკარგულებით განსაზღვრული კეთილმოწყობითი სამუშაოების კაპიტალურ ხარჯებში.

2009 წელს გარე განათების ექსპლუატაციაზე მომსახურების ფაქტობრივი ხარჯია 314.5 ათასი ლარი და საკასო ხარჯი 310.4 ათასი ლარი, ანუ 4.1 ათასი ლარით ნაკლები, რაც როგორც ზევით ავღნიშნეთ ბუღალტრულად ხარჯად აღიარებული (დაკრედიტებული) არ არის.

ქ. ქუთაისში მერიის კეთილმოწყობის სამსახურში გარე განათების ქონებიდან ქუჩების მიხედვით რაოდენობრივად აღრიცხულია მხოლოდ სანათი არმატურები ნათურებით, ხოლო ბოძების ქუჩების მიხედვით განლაგებისა და რაოდენობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა. სანათი არმატურების (ნათურებით) რაოდენობები მოცემულია დიაგრამაში.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, წლის ბოლოს ექსპლუატაციაში მყოფი ნათურების რაოდენობები აღემატება წლის დასაწყისში დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ გარე განათების ნათურების ექსპლუატაციის ნუსხებში დაფიქსირებულ მონაცემებს, რაც წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოწვეულია წლების განმავლობაში ახალი ქსელების ექსპლუატაციაში გადაცემით, შესაბამისად დამტკიცებულ ბიუჯეტებში განხორციელებული ცვლილებებით და გარე განათების ექსპლუატაციის და მოვლა-პატრონობის ხარჯების გაზრდით. კერძოდ: 2008 წელს ექსპლუატაციაში გადაეცა 1795 ცალი სანათი არმატურა სხვადასხვა ნათურებით; 2009 წელს - 1112 ცალი და 2010 წელს - 4595 ცალი. ცვლილებები ცხრილის მიხედვით არის შემდეგი:

ათურების ცვლილებები რაოდენობრივად და პროცენტულად ცალკეული კატეგორიის ნათურის მიხედვით

ნათურების სახეობები	2008						2009						2010					
	ნაშთი წლის დასაწყისში	%-ულად მთლიან რაოდენობაში	ცვლილება წლის განმავლობაში	%-ულად მთლიან ცვლილებაში	ნაშთი წლის ბოლოს	%-ულად მთლიან რაოდენობაში	ნაშთი წლის დასაწყისში	%-ულად მთლიან რაოდენობაში	ცვლილება წლის განმავლობაში	%-ულად მთლიან ცვლილებაში	ნაშთი წლის ბოლოს	%-ულად მთლიან რაოდენობაში	ნაშთი წლის დასაწყისში	%-ულად მთლიან რაოდენობაში	ცვლილება წლის განმავლობაში	%-ულად მთლიან ცვლილებაში	ნაშთი წლის ბოლოს	%-ულად მთლიან რაოდენობაში
220X500	153	6.2%	-67	-4.2%	86	2%	86	2%	-86	-2%	0	0	0	0	0	0	0	0
დრლ-125	0	0	20	0.7%	20	0.7%	20	0.7%	-20	-0.7%	0	0	0	0	0	0	0	0
დრლ-250	1486	60.4%	-13	-25.9%	1473	34.5%	1473	34.5%	-665	-19.4%	808	15.1%	808	15.1%	-82	-7.8%	726	7.3%
დრლ-400	364	14.8%	-12	-6.3%	352	8.5%	352	8.5%	-252	-6.6%	100	1.9%	100	1.9%	0	0	100	1%
[illegible]	61	2.5%	0	-1.1%	61	1.4%	61	1.4%	-61	-1.4%	0	0	0	0	0	0	0	0
დნტ-150	0	0	389	9.1%	389	9.1%	389	9.1%	734	11.8%	1123	20.9%	1123	20.9%	4631	36.9%	5754	57.8%
დნტ-250	274	11.1%	1330	26.4%	1604	37.5%	1604	37.5%	550	2.6%	2154	40.1%	2154	40.1%	283	-15.6%	2437	24.5%
დნტ-400	0	0	15	0.3%	15	0.3%	15	0.3%	49	0.9%	64	1.2%	64	1.2%	-64	-1.2%	0	0
ეკო-ნათურები	122	5%	133	1.0%	255	6%	255	6%	863	14.8%	1118	20.8%	1118	20.8%	-173	-11.4	945	9.4%
სულ	2460	100%	1795		4255	100%	4255	100%	1112		5367	100%	5367	100%	4595		9962	100%

- **გარე განათების ქსელის რეაბილიტაციის ხარჯები**

დიაგრამა 2008-2009-2010 წლებში ქ. ქუთაისში გარე განათების ღონისძიებებზე არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ (ათასი ლარი)



2010 წელს გარე განათების კაპიტალური შეკეთება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაგეგმილი იყო 1500.0 ათასი ლარი, ფაქტობრივი ხარჯია 1427.6 ათასი ლარი და საკასო ხარჯი 1311.6 ათასი ლარი, 116.0 ათასი ლარით ნაკლები. აღნიშნული ხარჯი ბუღალტრულად აღრიცხულია კრედიტორულ დავალიანებაში და ეკუთვნის შპს „დენდ"-ს (სულ შესრულებული კაპიტალური სამუშაოები-99.8 ათასი ლარი) - 48.4 ათასი ლარი და შპს „მეოხ"-ს (სულ შესრულებული კაპიტალური სამუშაოები-245.3 ათასი ლარი) - 67.6 ათასი ლარი.

გარე განათების ღონისძიებებზე წარმოდგენილი საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო და შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი დოკუმენტების აუდიტით დადგინდა: არის ფაქტები, როდესაც პროექტით გათვალისწინებული რაოდენობების შესაბამისი რაოდენობები არ არის დაფიქსირებული შესრულებული სამუშაოების აქტებში, ხოლო ზოგიერთ შესრულებული სამუშაოების აქტებში რიგ მასალებზე გაცილებით მაღალი ფასებია დაფიქსირებული, ვიდრე სხვა შესრულებული სამუშაოების აქტებშია დაფიქსირებული ანალოგიურ მასალებზე. კერძოდ: ქ. ქუთაისში ლესელიძის ქუჩის გარე განათების კაპიტალურ შეკეთებაზე პროექტით გათვალისწინებული იყო 5 ცალი ახალი ფოლადის ანძის დ-159 მმ, H – 9.5 მ-ის მოწყობა. აღნიშნულის ნაცვლად შესრულებული სამუშაოების აქტში ფაქტობრივად დაფიქსირებულია 2 ცალი ახალი ფოლადის ანძის მოწყობა, თითოეულის 310 ლარად, საერთო თანხით 620 ლარი და 4 ცალი ანძის აღდგენა-გასწორება, თითოეულის 105 ლარად, საერთო თანხით 420 ლარი. ამასთან ამავე ქუჩაზე პროექტით გათვალისწინებული იყო 35 ცალი სანათი არმატურის დემონტაჟი, შესრულებული სამუშაოს აქტში დაფიქსირებულია 33 სანათი არმატურის დემონტაჟი, 2 ერთეულით ნაკლები.

ასევე ბარათაშვილის ქუჩის გარე განათების კაპიტალურ შეკეთებაზე პროექტით გათვალისწინებული იყო 6 ცალი ახალი ფოლადის ანძის მოწყობა, რაც შესრულებული სამუშაოს აქტში საერთოდ არ არის მითითებული.

აღსანიშნავია, რომ შპს „ინჟმშენი 96"-ს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე თანდართულ ლესელიძის ქუჩის გარე განათების კაპიტალური შეკეთების ხარჯთაღრიცხვაში ფოლადის ახალი ანძის დ-159 მმ, H - 9.5 მ-ის მოწყობა მიწის სამუშაოებთან ერთად დაფიქსირებული აქვს 251.5 ლარი, ხოლო შესრულებული სამუშაოების აქტში მისი ფასი 310 ლარია, ანუ 58.5 ლარით მეტი, რაც 2 ცალი ანძის მოწყობაზე შეადგენს 117 ლარს.

ანალოგიურადაა ამავე ქუჩაზე მოწყობილობების კარადა შესრულებული სამუშაოების აქტში (900 ლარი) 100 ლარით მეტი ღირებულებით დაფიქსირებული, ხარჯთაღიცხვაში (800 ლარი) დაფიქსირებულთან შედარებით.

ასევე, ბარათაშვილის ქუჩის კაპიტალური შეკეთების ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულია 12 ცალი ფოლადის ანძის აღდგენა-გასწორება ერთეულის ფასით - 14.3 ლარი, საერთო ღირებულებით 171.4 ლარი, რაც შესრულებული სამუშაოს აქტში

დაფიქსირებულია ერთეულის ფასით - 95.0 ლარი, საერთო ღირებულებით 1140.0 ლარი, ანუ 968.6 ლარით მეტი. შესრულებული სამუშაოს აქტებში წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვებთან შედარებით მეტობით დაფიქსირებული და მერიის მიერ ანაზღაურებული თანხები (117+100+968.6) – 1185.8 ლარი ექვემდებარება მერიის ბიუჯეტში დაბრუნებას.

2008-2009 წლებში შპს „ინჟმშენი-96"-ის მიერ გარე განათების სანათი არმატურები თავის ნათურებით შესრულებული სამუშაოს აქტებში დაფიქსირებულია გაცილებით მაღალ ფასებში - 160-165 ლარად. მაშინ როდესაც თვით მას, ასევე შპს-ებს - „ფაროს"-ს, „მეოხ"-ს და „დენდ"-ს 2010 წელს ანალოგიური ტიპის სანათი არმატურები შესრულებული სამუშაოების აქტებში დაფიქსირებული აქვთ 100-110 ლარად.

ანალოგიურად გაცილებით მაღალი ფასი აქვს სანათ არმატურებზე დაფიქსირებული შპს „ჯორჯიან ბილდინგ"-ს. ასე მაგალითად: განათების სანათი არმატურა 1 ცალი 264 ლარი (სულ 54 ცალი, თანხით 14256 ლარი), ფოლადის ანძის მოწყობა 1 ცალის 461 ლარი (სულ 18 ანძის მოწყობა, თანხით 8289 ლარი), მაშინ როდესაც ასეთივე ფოლადის ანძის მოწყობა სხვა შპს-ებს დაფიქსირებული აქვთ 270-310 ლარი.

2008 წელს შპს „აბგ პროფსერვის გრუპი"დან შეძენილია 1998.4 ათასი ლარის გარე განათების აპარატურა და მოწყობილობები და დამონტაჟებულია ცენტრალურ ბაღში სანათი მოწყობილობა (მოკლე ანძები სანათებით) სულ 300.0 ათასი ლარის. კერძოდ: გარე განათების ბოძი 8 მეტრიანი 1 ცალი მოწოდებულია 3366 ლარად, 6 მ-იანი - 2172 ლარად, სანათები სხვადასხვა ტიპის 400 ლარიდან 1986 ლარამდე, ასევე არის 1 ცალი 3803 ლარიანი (ასეთი 79 ცალი), გარე განათების ლამპიონი ერთთავიანი 1 ცალი 3634 ლარი (ასეთი 36 ცალი), ლამპიონი ორთავიანი 1 ცალი 5299 ლარი (ასეთი 12 ცალი) და სხვა.

2010 წელს გარე განათების კაპიტალური სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებულ ტენდერში მერიის სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილი იქნა შპს „ფაროსი," რომელმაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულების შესრულება. აღნიშნულის თაობაზე 2010 წლის 22 ივლისს ქ. ქუთაისის მერიის მონიტორინგის ჯგუფის წევრებს ქ.ქუთაისის მერის სახელზე წარდგენილი აქვთ მოხსენებითი ბარათი. მასში დაფიქსირებულია, რომ შპს „ფაროს"-ის მიერ ამ დროისათვის „სამუშაოები დაუსრულებელია, სამუშაოთა გარკვეული ნაწილი შესრულებულია საპროექტო მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, კერძოდ: ფოლადის ანძების გარკვეული ნაწილი არის პირისპირით შედუღებული (გადაბმული) და შესაცვლელია, ფოლადის ნაწილი მეორადია, არის კოროზირებული და შეღებილია უხარისხოდ, ბეტონის საცობი არ შეესაბამება პროექტით მოთხოვნილ ნორმებს, არაა მოწყობილი კაბელისა და ელსადენების დაერთება P 616 ტიპის

მომჭერებით". მოხსენებით ბარათში არ არის ნაჩვენები უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების რაოდენობა და ღირებულება.

მონიტორინიგის ჯგუფის წევრები მოითხოვდენ შპს „ფაროსი"-ს მიმართ გატარებულიყო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები და მათ მიერვე გამოსწორებულიყო ზემოაღნიშნული დარღვევები.

2010 წლის 3 სექტემბერს ქ.ქუთაისის მერიამ შპს „ფაროსს" აცნობა, რომ მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების არ შეწყვეტის შესახებ და 2010 წლის 15 სექტემბრამდე მისცა ვადა წარმოედგინა შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2010 წლის 3 სექტემბერს, შპს „ფაროს"-ის მიერ წარმოდგენილია 391.1 ათასი ლარის გარე განათების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულების დოკუმენტაცია. აღნიშნული თანხიდან შპს „ფაროსი" დაჯარიმებულია 37.8 ათასი ლარით. ჯარიმის თანხა ნაცვლად შპს „ფაროსი"-ს მიერ ბიუჯეტში ჩარიცხვისა და ბიუჯეტის შემოსავლებში ჯარიმა-საურავების სახით ასახვისა, ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის მიერ დაკავებულია და ჯარიმის თანხის გამოკლებითაა 353.2 ათასი ლარი ანაზღაურებული მიმწოდებელზე. ასევე, 2010 წლის 30 სექტემბერს შპს „ფაროსი"-ს მიერ წარმოდგენილია 320.3 ათასი ლარის გარე განათების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულების დოკუმენტაცია. საჯარიმო თანხამ ამ პერიოდისთვის შეადგინა - 13.9 ათასი ლარი, რაც მერიის საფინანსო სამსახურის მიერ წინა დაკავების მსგავსადაა დაკავებული და შპს „ფაროს"-ს აუნაზღაურდა – 306.4 ათასი ლარი.

შპს „ფაროსი"-ს მიერ ქ. ქუთაისში ყველა ქუჩაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარე განათების კაპ-შეკეთებითი სამუშაოების შესრულებაზე მერიის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფისა და შპს „ფაროსი"-ს დირექტორის გ.ბურდულაძის მონაწილეობით შედგენილია ინსპექტირების ჯგუფის დასკვნები, სადაც ასახული არ არის ზემოთ ნაჩვენები დარღვევებით შესრულებული სამუშაოები (უხარისხო ფოლადის ანძები, ნორმების დარღვევით ჩასხმული ბეტონის საცობები და სხვა). ანალოგიური დასკვნაა დადებული სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ.

2010 წლის 8 ნოემბერს შედგენილია „მიღება-ჩაბარების აქტი" და „ექსპლუატაციაში მიღების აქტი", რომელიც დათარიღებულია 10 ოქტომბრით. მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნულია, რომ შპს „ფაროს"-მა შეასრულა N205 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო ექსპლუატაციაში მიღების აქტში, სხვა სამუშაოების შესრულებასთან ერთად დაფიქსირებულია, რომ ექსპლუატაციაში გადაცემულია 598 ცალი რკინის ბოძი, მაშინ როდესაც პროექტებით და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 1064 ბოძის მონტაჟი. აღნიშნულზე წარმოდგენილი განმარტებით მდგომარეობა არის შემდეგი. შპს „ფაროსი"-ს მიერ ქალაქის ქუჩებში გარე განათების მოწყობაზე, გარე განათების ბოძები ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული

რაოდენობის მიხედვით დამონტაჟებულია სრულად, მაგრამ დარჩენილი ბოძების (466 ცალი) მონტაჟის შესრულების ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს. კერძოდ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ფოლადის ანძების გარკვეული ნაწილი არის პირისპირ შედუღებული (გადაბმული), ფოლადის ნაწილი არის მეორადი, არის კოროზირებული და შეღებილი უხარისხოდ, რაც მიმწოდებლის მიერ შესწორებული არ არის და მას აღნიშნულ სამუშაოების შესრულების ღირებულება წარმოდგენილი შესრულების სამუშაოების აქტებში როგორც შესრულებული, არ დაუფიქსირდა, ხოლო ქუჩების გარე განათება ექსპლუატაციაში მიღებულია ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებისა (922.0 ათასი ლარი) ფაქტობრივად წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ღირებულებით საერთო თანხით 711.3 ათასი ლარი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შპს „ფაროსი"-ს ტენდერში გამარჯვებით მიღებული ეკონომიების (ტენდერი გამოცხადდა 1500.0 ათას ლარზე, საბოლოო ხარჯი - 659.7 ათასი ლარი, ჯარიმის გამოკლებით) ხარჯზე, 2010 წელს დამატებით გამოცხადებული ტენდერებით კაპიტალური რემონტები ჩაუტარდა ქალაქში გარე განათების 72 ქუჩას - შპს „მეოხი"-სგან ღირებულებით 245.3 ათასი ლარი და 28 ქუჩას შპს „დენდის"-გან ღირებულებით 99.8 ათასი ლარი.

- **საახალწლო დღესასწაულების განათების ღონისძიებების ხარჯები**

ცხრილი 2008-2009-2010 წლებში ქ. ქუთაისში საახალწლო ღონისძიებებზე დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებისა, ფაქტობრივი ხარჯისა და ანგარიშის მიხედვით გაწეული საკასო ხარჯის შესახებ

დასახელება	2008	2009	2010
სულ გეგმა	540.7	199.0	146.2
სულ საკასო	517.4	199.0	132.6
სულ ფაქტიური	686.1	199.0	145.6
სხვა საქონელი და მომსახურება - გეგმა	540.7	119.0	146.2
სხვა საქონელი და მომსახურება - საკასო	517.4	119.0	132.6
სხვა საქონელი და მომსახურება - ფაქტიური	686.1	119.0	145.6
არაფინანსური აქტივების ზრდა - გეგმა	0	80.0	0
არაფინანსური აქტივების ზრდა - საკასო	0	80.0	0
არაფინანსური აქტივების ზრდა - ფაქტიური	0	80.0	0

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2008 წელს საახალწლო ღონისძიებებზე ნაცვლად დაგეგმილი 540.7 ათასი ლარისა ფაქტობრივი ხარჯია 686.1 ათასი ლარი და საკასო ხარჯი 517.4 ათასი ლარი, ანუ 168.6 ათასი ლარით ნაკლები, აქედან 15.0 ათასი ლარი 2007 წლის შესრულებიდან გადმოსული ნაშთია ანაზღაურებული (შპს „ნეონი-2007"-ზე), ხოლო 183.6 ათასი ლარი არის შპს „არტ ლაინ თრეველი"-დან შესყიდული საახალწლო აქსესუარებისა და ილუმინაციების ღირებულება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ 2008 წელს საახალწლო ღონისძიებებზე ასიგნება გათვალისწინებული იყო მხოლოდ სუბსიდიური დაფინანსებით. ფაქტობრივად 2008 წელს საახალწლო ღონისძიებების შესყიდვებში უდიდესი ნაწილი წარმოადგენს საახალწლო აქსესუარებისა და ილუმინაციების შეძენას, რაც თანხობრივად შეადგენს 618.5 ათას ლარს (183.6 ათასი ლარის შპს „არტ ლაინ თრეველი"-დან და 434.9 ათასი ლარის შპს „გესკო"-დან), რომლის დაფინანსება უნდა განხორციელებულიყო კაპიტალური ხარჯების მუხლით.[10]

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს შესყიდული საახალწლო აქსესუარებიდან შპს „გესკო"-დან შეძენილია ნაძვის ხე 65.8 ათას ლარად და სხვა აქსესუარები. შპს „ატრიუმიდან" გირლიანდა 20 კომპლექტი, 1 კომპლექტი 2959.75 ლარად, ნაძვის ხის გასაწყობი 4 კომპლექტი, 1 კომპლექტი 600.75 ლარად და თაიგული 36 ცალი, 1 ცალი 511.17 ლარი.

2009 წელს საახალწლო ღონისძიებებზე დაგეგმილი იყო 199.0 ათასი ლარი, მათ შორის: 119.0 ათასი ლარი სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით და 80.0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით. ფაქტობრივი და საკასო ხარჯი არის 199.0 ათასი ლარი, აქედან საქონელი და მომსახურების მუხლით 119.0 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 80.0 ათასი ლარი. ამასთან კულტურის ღონისძიებების ასიგნებიდან ანაზღაურებულია შპს „არტ ლაინ თრეველი"-დან შესყიდული საახალწლო აქსესუარებისა და ილუმინაციების ღირებულება - 183.6 ათასი ლარი.

2010 წელს საახალწლო ღონისძიებებზე დაგეგმილი იყო 146.2 ათასი ლარი. ფაქტობრივი შესრულებაა 145.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯია 132.6 ათასი ლარი ანუ 13.0 ათასი ლარით ნაკლები. აღნიშნული გამოწვეულია შპს „ჯი და ჯი კომპანიი"-დან შეძენილი 65.0 ათასი ლარის საახალწლო აქსესუარებიდან, მასზე 2010 წელს მხოლოდ 52.0 ათასი ლარი ავანსის სახით ანაზღაურებით, ხოლო 13.0 ათასი ლარი ირიცხება კრედიტორად.

---

[10] არ არის დაცული „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

4. გარე განათების (მათ შორის არსებული ობიექტების ექსპლუატაციისა და მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების) და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული მუნიციპალური შესყიდვების შედეგად მიღებული მუნიციპალური ქონების (არამატერიალური აქტივების) მართვისა და განკარგვის მდგომარეობის აუდიტი

სააუდიტო პერიოდში (გარდა 2010 წლის) გარე განათების ქსელის (ბოძები, სანათი არმატურები, გადამცემი მოწყობილობები - კაბელები, აპარატურა და კარადები) მოწყობისა და რეაბილიტაციის მიზნით შესრულებული სამუშაოები, საახალწლო ღონისძიებების განხორციელებისათვის შეძენილი საახალწლო აქსესუარები და ილუმინაციები მერიის მიერ ბუღალტრულად ასახული არ არის და როგორც სააუდიტო, ასევე წინა პერიოდში ამ სფეროში არსებული ქონება მერიის საბალანსო ანგარიშებზე არ ირიცხება.

კერძოდ: 2008 წელს კაპიტალური ხარჯების მუხლით დაფინანსებული და შპს „ჯორჯიან ბილდინგი"-ს მიერ შესრულებული გარე განათების კაპიტალურ რემონტებზე შესრულებული სამუშაოები, რომლებიც მარტივი ტიპის მიღება-ჩაბარების აქტებით (არ არის სახელმწიფო კომისიის მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები) არის ექსპლუატაციაში გადაცემული ღირებულებით 73.5 ათასი ლარი; შპს „ინჟმშენი-96"-ის მიერ ქ. ქუთაისში სხვადასხვა ქუჩებში გარე განათების კაპიტალურ რემონტებზე შესრულებული და ექსპლუატაციაში გადაცემული სამუშაოები ღირებულებით - 194.8 ათასი ლარი (15.0 ათასი და 179.8 ათასი); შპს „აბგ პროფსერვის გრუპ" -ის მიერ ქალაქის ცენტრალურ ბაღში შესრულებული და ექსპლუატაციაში გადაცემული გარე განათების სამუშაოები ღირებულებით - 300.0 ათასი ლარი; ასევე შპს „აბგ პროფსერვის გრუპ" -ის მიერ მოწოდებული ქალაქის ისტორიულ ნაწილში დასამონტაჟებელი გარე განათების აპარატურა და მოწყობილობები ღირებულებით - 1998.4 ათასი ლარი და შპს „თბილისი-2005"-ის მიერ შესრულებული სამონტაჟო სამუშაოები ღირებულებით - 431.7 ათასი ლარი, ანუ მთლიანობაში სულ 2430.1 ათასი ლარი.

არ არის ბუღალტრულად ასახული:

2008 წელს საახალწლო ღონისძიებების განსახორციელებლად შპს „არტ ლაინ თრეველი"-დან 183.6 ათასი ლარის და შპს „გესკო"-დან 434.9 ათასი ლარის შეძენილი საახალწლო აქსესუარები და ილუმინაციები;

2009 წელს არაფინასური აქტივების ზრდის მუხლით დაფინანსებული შპს „ინჟმშენი-96"-ის მიერ ქალაქში სხვადასხვა ქუჩებში გარე განათების კაპიტალურ რემონტებზე შესრულებული და ექსპლუატაციაში გადაცემული სამუშაოები საერთო

ღირებულებით 360.1 ათასი ლარი და საახალწლო ღონისძიებების განხორციელებისათვის შპს „ატრიუმი"-დან შეძენილი საახალწლო აქსესუარები და ილუმინაციები საერთო ღირებულებით 80.0 ათასი ლარი.[11]

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ნოემბერში ქ. ქუთაისის მერიის მიერ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია გარე განათების ბოძები 3831 ცალის ოდენობით, როგორც თვითმმართველი ერთეულის ქ. ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონება.

აღნიშნული ქონების (ბოძების) რაოდენობის დადგენისათვის მოსამზადებელი სამუშაოები აწარმოა სს „გლობალ ერთ"-მა, რომელსაც ესაჭიროებოდა ქალაქში მდებარე გარე განათების ბოძები მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ქსელის მოწყობის მიზნით ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გასატარებლად, რაც ქ. ქუთაისის მერის 2008 წლის 10 დეკემბრის N2642 ბრძანების საფუძველზე პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში 20 წლის ვადით, გადაეცა სს „გლობალ ერთ"-ს.

მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი განმარტება, თუ რის საფუძველზე განახორციელა სს „გლობალ ერთ"-მა გარე განათების ბოძების რაოდენობის განსაზღვრა ქალაქის ქუჩების მიხედვით. როგორც ჩანს, სს „გლობალ ერთი"-ს მიერ გარე განათების ბოძების განსაზღვრის სამუშაოები შესრულებულია მხოლოდ მისი ინტერესების შესაბამისად, რადგან როგორც დარეგისტრირებული გარე განათების ქონების (ბოძების) საერთო რაოდენობა, ასევე მთელი რიგი ქუჩების მიხედვით სს „გლობალ ერთი"-ს მიერ განსაზღვრული ბოძების რაოდენობები არ ედრება ქ. ქუთაისის საკრებულოს მიერ 2009 წლის 3 თებერვლის N201 დადგენილებით დამტკიცებულ ქ. ქუთაისის მერიის 2009 წლის ბიუჯეტში ქალაქის გარე განათების საექსპლუატაციო ობიექტების ნუსხაში დაფიქსირებულ რაოდენობებს. კერძოდ, როგორც აღინიშნა საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული და იჯარით სს „გლობალ ერთ"-ზე გადაცემული ქონება (ბოძები) არის 3831 ცალი, ხოლო 2009 წლის ქ. ქუთაისის მერიის დამტკიცებულ ბიუჯეტში გარე განათების ექსპლუატაციის ნუსხაში დაფიქსირებული სანათი არმატურების რაოდენობა ნათურებით, რომლებიც ბოძებზეა დამაგრებული (მოედნებზე არსებულ ბოძებზე ორი ან მეტი სანათი არმატურის განთავსებიდან, დამატებით სულ 42 სანათი არმატურის გათვალისწინებით), არის 4264, ანუ 433 ცალით მეტი. შესაბამისი გადახრებია ქუჩებში განთავსებულ რაოდენობებში. ასე მაგალითად: სოლომონ პირველის ქუჩაზე, დარეგისტრირებულია და იჯარით გადაცემული ქონების - ბოძების რაოდენობაა 30 ცალი, დამტკიცებულ ნუსხაში

[11] არ სრულდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 27 დეკემბრის N1278 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის "შესახებ" ინსტრუქციის მე-10 და მე-11 მუხლების მოთხოვნები და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნა.

დაფიქსირებულია - 48 სანათი არმატურა ნათურით; ორახელაშვილის ქუჩაზე დარეგისტრირებულია და იჯარით გადაცემულია 13 ბოძი, ნუსხაში დაფიქსირებულია - 19; გუგუნავას ქუჩაზე ორივე მხარეს დარეგისტრირებულია და იჯარით გადაცემულია - 115 ბოძი, ნუსხაში დაფიქსირებულია - 134 და სხვა. ასევე, 2010 წლის ქ. ქუთაისის მერიის დამტკიცებულ ბიუჯეტში გარე განათების ბოძების ექსპლუატაციის ნუსხაში დაფიქსირებული სანათი არმატურების რაოდენობა ნათურებით, რომლებიც ბოძებზეა დამაგრებული, არის 5367 ცალი, რაც 1536 ცალით მეტია საჯარო რეესტრში დაფიქსირებულ რაოდენობასთან შედარებით. კიდევ უფრო დიდი რაოდენობაა დაფიქსირებული 2010 წლის ბოლოს სულ 9962 ცალი, რაც 2.6-ჯერ აღემატება საჯარო რეესტრში დაფიქსირებული ბოძების რაოდენობას.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში მერიის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით 2008 წელს ქალაქში ექსპლუატაციაში იყო და მომსახურება გაწეულია 4255 სანათ არმატურაზე ნათურით, 2009 წელს 5367-ზე და 2010 წელს 9962-ზე.

გამომდინარე აღნიშნულიდან საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ქონების (ბოძების) რაოდენობა - 3831 ცალი არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან 2010 წლის ბოლოსათვის ის არაზუსტი მონაცემებით დარეგისტრირებულზე მეტია 6089 ცალით (9962 – 3831 - 42), ხოლო ბოძების იჯარით გადაცემის რეალობა ექვემდებარება შესწავლას დამატებით თემატური აუდიტის ჩატარებით.

2010 წელს ბუღალტრულად ასახულია და მერიის ბალანსზე ირიცხება შპს „ინჟმშენი-96"-ის მიერ ქალაქში სხვადასხვა ქუჩებში გარე განათების კაპიტალურ რემონტებზე შესრულებული და ექსპლუატაციაში გადაცემული სამუშაოები საერთო ღირებულებით 423.0 ათასი ლარი; შპს „ფაროსი"-ს მიერ შესრულებული სამუშაოები 659.6 ათასი ლარი; შპს „მეოხი"-ს მიერ - 245.3 ათასი ლარი და შპს „დენდ"-ის მიერ - 99.8 ათასი ლარი. ასევე საახალწლო აქსესუარები საერთო ღირებულებით - 78.9 ათასი ლარი.

სააუდიტო პერიოდში ქ. ქუთაისში გარე განათების კაპიტალური რემონტების სამუშაოების შესრულებისას პროექტებით გათვალისწინებული იყო და ფაქტობრივადაც განხორციელებულია არსებული სანათი არმატურების დემონტაჟი. კერძოდ, 2008 წელს შპს „ჯორჯიან ბილდინგი"-ს მიერ 11 ცალის და შპს „ინჟმშენი-96"-ის მიერ - 162 ცალის; 2009 წელს შპს „ინჟმშენი-96"-ის მიერ სულ - 722 ცალის; 2010 წელს შპს „ფაროსი"-ს მიერ - 122 ცალის. აღნიშნული რაოდენობის სანათი არმატურები ისეა დემონტირებული, რომ არ არის შედგენილი აქტები ვარგისების მეორადი გამოყენებისათვის და უვარგისების ჯართის სახით ჩამოწერის შესახებ, რის შემდგომ უნდა მომხდარიყო მათი შეფასებები და აღრიცხულიყო ბუღალტრულად.[12] ამასთან აღსანიშნავია, რომ შპს „მეოხი"-ს მიერ

[12] არ სრულდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 27 დეკემბრის N1278 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს ფინანსთა

2010 წელს ქალაქის სხვადასხვა ქუჩებში გარე განათების კაპიტალური რემონტების შესრულებისას პროექტებით გათვალისწინებული იყო 56 სანათი არმატურის დემონტაჟი, ფაქტობრივად დემონტირებულია მხოლოდ 4 ცალი. ასევე, შპს „დენდი"-ს მიერ გარე განათების კაპიტალური რემონტების სამუშაოების შესრულებისას პროექტებით გათვალისწინებული იყო 26 სანათი არმატურის დემონტაჟი, ფაქტობრივად დემონტირებულია მხოლოდ 3 ცალი. პროექტებით გათვალისწინებულ და ფაქტობრივად დემონტირებულ სანათებს შორის სხვაობებზე არ არის შედგენილი აქტები სათანადო მოტივირებული დასკვნებით.

სააუდიტო პერიოდში ფაქტობრივად შეძენილი და უსასყიდლოდ მიღებული საახალწლო აქსესუარების და ილუმინაციების საერთო ღირებულება შეადგენს 944.8 ათას ლარს.

აღნიშნული ღირებულების საახალწლო აქსესუარები ქ. ქუთაისის მერიაში ბუღალტრულად არ ასახულა (არც საბალანსო და არც ბალანსგარეშე ანგარიშებზე) და ექვემდებარება აღრიცხვას.[13] ამასთან, ქუთაისის მერიაში არა მარტო არ ხდებოდა საახალწლო აქსესუარებისა და ილუმინაციების ბუღალტრულად ასახვა, არამედ მათი რაოდენობრივი აღრიცხვებიც არ არის მოხდენილი, ფასეულობა არ ბარდებოდა მატერიალურ პასუხისმგებელ პირებს, არ ხდებოდა მათზე მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა მონტაჟის და დემონტაჟის შემდგომ საწყობში ჩაბარებისას.

5. გარე განათების (მათ შორის არსებული ობიექტების ექსპლუატაციისა და მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების) და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ქ. ქუთაისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახვის სისრულისა და სისწორის აუდიტი.

სააუდიტო პერიოდში ქ. ქუთაისის გარე განათებისა და საახალწლო ღონისძიებებზე ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების განხორციელებისას, ადგილი

სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნები.

[13] არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 27 დეკემბრის N1278 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა.

ქონდა მათი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში არასწორ, არასრულ და საერთოდ არ ასახვის ფაქტებს. კერძოდ:

2008 წელს შპს „ინჟმშენი-96"-ის მიერ გარე განათების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულების ღირებულება 30.0 ათასი ლარის ოდენობით ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ნაცვლად კაპიტალური ხარჯებისა დაფიქსირებულია სუბსიდიური დაფინანსების ხარჯებში. ასევეა, 2008 წელს შპს „გესკო"-ს მიერ საახალწლო ღონისძიებებისათვის აქსესუარების შესაძენად და მოსაწყობად გაწეული ხარჯი - 434.9 ათასი ლარის ოდენობით.

2008 წელს შპს „ჯორჯიან ბილდინგი"-ს მიერ გარე განათების კაპიტალურ შეკეთებაზე გაწეული 73.5 ათასი ლარის ხარჯი ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯებში ნაცვლად გარე განათების კაპიტალური ხარჯებისა. აღნიშნული ხარჯი როგორც დაგეგმვისას ასევე შესრულების ანგარიშში უნდა ასახულიყო გარე განათების კაპიტალურ ხარჯში.

2008 წელს საერთოდ არ ასახულა შესრულების ანგარიშში შპს „არტ ლაინ თრეველი"-ს მიერ ქ. ქუთაისის ცენტრალური ნაწილის ისტორიული უბნების სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპის დასრულებასთან დაკავშირებით საპრეზენტაციო ღონისძიებების განსახორციელებლად შეძენილი საახალწლო აქსესუარების ღირებულება საერთო თანხით 183.6 ათასი ლარის, რაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 2009 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო კულტურის ღონისძიებებში და შესრულების ანგარიშში ასახულია 2009 წელს არა როგორც არაფინანსური აქტივი, არამედ სხვა ხარჯებში.[14]

რეკომენდაციები:

ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურმა ბიუჯეტის წლიური ანგარიშის შედგენისას უზრუნველყოს მასში გადასახდელების სწორად და სრულად ასახვა.

[14] არ არის დაცული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ" პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის „ბ" პუნქტის მოთხოვნები.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი:
სერგო აბაშიძე ხელმოწერა თარიღი

აუდიტორი:
გიორგი შურღაია ხელმოწერა თარიღი 04.03.2023.

აუდიტორ–ასისტენტი: ხელმოწერა
ასმათ ლილუაშვილი თარიღი